

ინდივიდუალური სამოგზაურო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების

2014 წლის კონკურსი

ელექტრონული რეგისტრაციის დაწყებამდე, გთხოვთ, გულდასმით გაეცნოთ კონკურსის პირობებსა და წინამდებარე ინსტრუქციას.

პროექტის ელექტრონული რეგისტრაციის ინსტრუქცია

ზოგადი ინფორმაცია

საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად თავდაპირველად მეცნიერმა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ვებგვერდზე - www.rustaveli.org.ge - უნდა შეავსოს პირადი ანკეტა, ამის შემდეგ იქვე დაარეგისტრიროს საგრანტო პროექტი.

მეცნიერის რეგისტრაცია ფონდის ბაზაში მხოლოდ ერთხელ არის საჭირო. რეგისტრაციის შემდეგ თქვენ გექნებათ ფონდის ბაზაში პირადი ანკეტა და შეგეძლებათ მონაწილეობა მიიღოთ ფონდის სხვადასხვა კონკურსში.

ყოველ ახალ კონკურსში მონაწილეობისათვის ისარგებლეთ ფუნქციით „პროექტის დამატება“. საჭიროების შემთხვევაში, შეგიძლიათ, განაახლოთ თქვენი პირადი ანკეტა, კონკრეტული კონკურსისათვის პირადი ანკეტიდან გამოიყენოთ სათანადო ინფორმაცია, დაამატოთ ახალი პუბლიკაციების, პროექტების, კონფერენციების ჩამონათვალი და ა.შ.

თუ უკვე დარეგისტრირებული ხართ, გაიარეთ ავტორიზაცია (ელფოსტისა და პაროლის მითითებით), შედით თქვენ ანგარიშზე და ატვირთეთ ახალი საგრანტო პროექტი.

ავტორიზაციის გავლის შემდეგ დააჭირეთ ღილაკს „პროექტის დამატება“. ეკრანზე გამოჩნდება მოცემული დროისათვის ფონდში მიმდინარე საგრანტო კონკურსების ნუსხა. აირჩიეთ „ინდივიდუალური სამოგზაურო გრანტები“ და დაიწყეთ თქვენი საგრანტო პროექტის დარეგისტრირება.

- პროექტის ატვირთვისას ეკრანზე მოცემულ გრაფებში თქვენ მოგიხდებათ ინფორმაციის შეყვანა როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენაზე. კლავიატურის გადართვა შეგიძლიათ როგორც თქვენსავე კომპიუტერში, ასევე ელექტრონული წარდგენის სისტემაში ყველა ნაბიჯზე განთავსებული ღილაკის „ქართული კლავიატურის ჩართვა/გამორთვა“ საშუალებით.
- ელექტრონული წარდგენის სისტემაში ყველა ნაბიჯზე შეტანილი ინფორმაცია შეინახეთ „დამახსოვრება/გაგრძელების“ ღილაკის გამოყენებით.
- ვარსკვლავით მონიშნული ველების შევსება სავალდებულოა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ელექტრონული ბაზა მომდევნო ნაბიჯზე გადასვლის საშუალებას არ მოგცემთ.

ნაბიჯი 1. ინფორმაცია პროექტის შესახებ

ინდივიდუალური სამოგზაურო გრანტები

ნაბიჯი: 1 2 3 4 5 6 7

ინფორმაცია საერთაშორისო ღონისძიების შესახებ

ქართული კლავიატურის ჩართვა/გამორთვა

ქვეყანა, სადაც ტარდება ღონისძიება *

ქალაქი ქართულად * ქალაქი ინგლისურად *

ღონისძიების დასახელება/თემა ქართულად *

ღონისძიების დასახელება/თემა ინგლისურად *

ღონისძიების ორგანიზატორი (დასახელება) ქართულად *

ღონისძიების ორგანიზატორი (დასახელება) ინგლისურად *

საკონტაქტო პირი ქართულად * საკონტაქტო პირი ინგლისურად *

საკონტაქტო პირის (ელფოსტა) *

ღონისძიების ჩატარების თარიღები (დაწყება) * < სექტემბერი 2014 > >

ორ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
1	2	3	4	5	6	7
8	9	10	11	12	13	14
15	16	17	18	19	20	21
22	23	24	25	26	27	28
29	30					

ღონისძიების მისამართი ინტერნეტში (ვებგვერდი) *

ორგანიზატორის მისამართი *

ორგანიზატორის * ტელეფონი * ფაქსი * ელფოსტა *

ფონდიდან მოთხოვნილი თანხა, ლარებში *

<< უკან

დამახსოვრება და გაგრძელება >>

1.1. შეავსეთ ინფორმაცია საერთაშორისო ღონისძიების შესახებ (ქართულად და ინგლისურად).

1.2. მიიტანეთ კურსორი ისართან და აირჩიეთ ღონისძიების ჩატარების თარიღები (დაწყება/დასრულება).

შენიშვნა: იმას, თუ რომელ საკონკურსო ნაკადში მონაწილეობს აპლიკანტი, განსაზღვრავს კონფერენციის დაწყების დღე. (მაგალითად, თუ კონფერენცია ოფიციალურად იხსნება 31 ოქტომბერს, აპლიკანტმა პროექტი უნდა წარადგინოს სექტემბერ-ოქტომბრის ნაკადში, შესაბამისი ვადების დაცვით, თუნდაც გამოსვლა 31 ოქტომბერს.)

ნაბიჯი 2. ინფორმაცია მოხსენების შესახებ

ინდივიდუალური სამოგზაურო გრანტები

ნაბიჯი: 1 2 3 4 5 6 7

ინფორმაცია გრანტის შამიგების მოხსენების შესახებ

ქართული კლავიატურის ჩართვა/გამორთვა

	მოხსენების/სასტენდო მოხსენების სათაური	ღონისძიებაზე მოხსენების სტატუსი	წაშლა
ქართულად	<input type="text"/>	<input type="checkbox"/> ზემოთ მოხსენებული პლენარულ სხდომაზე <input checked="" type="checkbox"/> ზემოთ მოხსენებული სექციის სხდომაზე <input type="checkbox"/> სასტენდო მოხსენების წარმომადგენელი	
*1 ინგლისურად	<input type="text"/>	<input type="checkbox"/> საორგანიზაციო კომიტეტის (თან)თავმჯდომარე ან თავმჯდომარის მოადგილე <input type="checkbox"/> საორგანიზაციო კომიტეტის წევრი ან/და სხდომის (თან)თავმჯდომარე	

სტრუქტურის დამატება

<< უკან

დამახსოვრება და გაგრძელება >>

2.1. ჩაწერეთ თქვენი მოხსენების სათაური ქართულ და ინგლისურ ენებზე შესაბამის გრაფებში.

2.2. კურსორის მეშვეობით მონიშნეთ ღონისძიებაზე თქვენი სტატუსი (შესაძლებელია ერთზე მეტი სტატუსის მონიშვნა (მაგ. მომხსენებელი და ამავდროულად საორგანიზაციო კომიტეტის წევრი).

შენიშვნა: ფონდი იტოვებს უფლებას მოხსნას კონკურსიდან საგრანტო პროექტები, რომლებშიც წარმოდგენილია გაყალბებული ინფორმაცია (მაგ. მითითებულია პლენარული მოხსენება ზეპირი მოხსენების ნაცვლად ან ზეპირი მოხსენება სასტენდო მოხსენების ნაცვლად და სხვ.).

ნაბიჯი 3. პუბლიკაციების ჩამონათვალი ავტორის შეხედულებისამებრ

ინდივიდუალური სამოგზაურო გრანტები
ნაბიჯი: 1 2 **3** 4 5 6 7

პუბლიკაციების ჩამონათვალი ავტორის შეხედულებისამებრ

ქართული კლავიატურის ჩართვა/გამორთვა

ანი ტესტი (არაუმეტეს 3 / 3)				
ავტორ(ებ)ი	პუბლიკაციის სათაური	ჟურნალის/გამომცემლობის დასახელება, ტიპი/ტომი, გვერდები, პუბლიკაციის ელექტრონული მისამართი.	წელი	
<input checked="" type="checkbox"/>	ავტორის სახელი, გვარი	პუბლიკაციის სათაური 2	ჟურნალი 2	2011
<input type="checkbox"/>	სახელი, გვარი	პუბლიკაციის სათაური	ჟურნალი, გამომცემლობა	2011
<input checked="" type="checkbox"/>	ავტორის სახელი, გვარი	პუბლიკაცია 3	ჟურნალის დასახელება, გამომცემლობა, ტომი	2010
<input checked="" type="checkbox"/>	ავტორის სახელი, გვარი	სათაური	მონოგრაფია	2009

3.1. ამ ნაბიჯზე გამოჩნდება პუბლიკაციების სია თქვენი პირადი ანკეტიდან. პუბლიკაციების მოსანიშნად მიიტანეთ კურსორი პუბლიკაციის გასწვრივ მარცხენა მხარეს კვადრატთან და დააწკაპუნეთ. მოცემული სიიდან შეგიძლიათ აირჩიოთ არაუმეტეს 3 პუბლიკაციისა (მონიშნული პუბლიკაციების შესაბამისი ინფორმაცია უნდა ატვირთოთ ელექტრონული რეგისტრაციის ბოლო გვერდზე PDF ფაილის სახით).

3.2. პროექტში დაფიქსირდება მხოლოდ ბოლო 5 წლის მანძილზე გამოქვეყნებული პუბლიკაციები.

3.3. თუკი პუბლიკაციების სვეტები ცარიელია და არ გაქვთ მონიშვნის საშუალება, ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენს პირად ანკეტაში პუბლიკაციების შესახებ ინფორმაცია არ არის. ჯერ საკუთარ პირად ანკეტაში უნდა შეავსოთ პუბლიკაციების ნაბიჯი და მხოლოდ ამის შემდეგ შეძლებთ, დაამატოთ და მონიშნოთ პუბლიკაციები საგრანტო პროექტის ანკეტაში.

ყურადღება: აუცილებელია პუბლიკაციების მონიშვნა! პუბლიკაციები ავტომატურად არ განთავსდება თქვენს საგრანტო პროექტში თუ არ მონიშნავთ მათ.

ნაბიჯი 4. საგრანტო პროექტებში მონაწილეობა ავტორის შეხედულებისამებრ

ინდივიდუალური სამოგზაურო გრანტები

ნაბიჯი: 1 2 3 4 5 6 7

სამეცნიერო საგრანტო პროექტებში მონაწილეობა ავტორის შეხედულებისამებრ

ქართული კლავიატურის ჩართვა/გამორთვა

ანი ტესტი (არაუმეტეს 3 / 3)			
	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის დასახელება	როლი პროექტში
<input checked="" type="checkbox"/>	სახელმწიფო ფონდი	გრანტის სახელწოდება	ხელმძღვანელი
<input checked="" type="checkbox"/>	საერთაშორისო ფონდი	კვლევა - გამოგონება	მკვლევარი
<input checked="" type="checkbox"/>	ასოციაცია	გამოგვევა	შემსრულებელი

4.1. ამ ნაბიჯზე გამოჩნდება საგრანტო პროექტების სია თქვენი პირადი ანკეტიდან. საგრანტო პროექტის მოსანიშნად მიიტანეთ კურსორი დამფინანსებელი ორგანიზაციის დასახელების გასწვრივ მარცხენა მხარეს კვადრატთან და დააწკაპუნეთ. მოცემული სიიდან შეგიძლიათ აირჩიოთ არაუმეტეს 3 საგრანტო პროექტისა და მონიშნოთ სასურველი გრანტები მათ მარცხნივ მდებარე კვადრატზე მაუსის დაწკაპუნებით.

4.2. თუკი სამეცნიერო გრანტების სვეტები ცარიელია და არ გაქვთ მონიშვნის საშუალება, ეს იმას ნიშნავს რომ თქვენს პირად ანკეტაში სამეცნიერო საგრანტო პროექტების შესახებ ინფორმაცია არ არის. ჯერ საკუთარ პირად ანკეტაში უნდა შეავსოთ სამეცნიერო გრანტების ნაბიჯი და მხოლოდ ამის შემდეგ შეძლებთ, დაამატოთ და მონიშნოთ სამეცნიერო გრანტები საგრანტო პროექტის ანკეტაში.

ყურადღება: აუცილებელია საგრანტო პროექტების მონიშვნა!

ინფორმაცია გრანტების შესახებ ავტომატურად არ განთავსდება თქვენს საგრანტო პროექტში თუ არ მონიშნავთ მათ. შესაბამისად ეს პუნქტი ვერ იქნება გათვალისწინებული პროექტის შეფასებისას.

ნაბიჯი 5. პროექტის რეზიუმე

ინდივიდუალური სამოგზაურო გრანტები

ნაბიჯი: 1 2 3 4 5 6 7

მოსხენების რეზიუმე (არაუმეტეს 500 სიტყვისა)

ქართული კლავიატურის ჩართვა/გამორთვა

ქართულად

ინგლისურად

<< უკან დაამხოვრება და გაგრძელება >>

5.1. შესაბამის ველებში შეიტანეთ პროექტის რეზიუმე ქართულად და ინგლისურად.

ნაბიჯი 6. პროექტის ბიუჯეტი

ნაბიჯი: 1 2 3 4 5 **6** 7

ბიუჯეტი

კართული კლავიატურის ჩართვა/გამორთვა

ნარჯვის კატეგორია	ფონდიდან მოთხოვნილი თანხა				დაფინანსების სხვა წყაროები (თანადაფინანსება)			
	თანხა	ვალუტა	კურსი	თანხა ლარში	თანხა	ვალუტა	კურსი	თანხა ლარში
ორმხრივი შეზღოვება (თვითფინანსი, მატარებელი)	540	EUR 1 ევრო	2.4137	1303.4				
ლონისმიგებაზე სარეგისტრაციო გადასახადი								
ვიზა								
სამოგზაურო დაზღვევა								

ნარჯვის კატეგორია	ფონდიდან მოთხოვნილი თანხა				დაფინანსების სხვა წყაროები (თანადაფინანსება)			
	დღეების რაოდენობა	1 კაცი/1 თანხა ვალუტაში	ვალუტა	ჯამი ვალუტაში	ჯამი ლარში	თანხა	ვალუტა	თანხა ლარში
სადღელამისო ხარჯები (1 კაცი/1 დღე)				0				
საცხოვრებელი ფართის დაქირავების / სასტუმროს ხარჯი (1 კაცი/1 დღე)				0				

სულ ფონდიდან მოთხოვნილი თანხა: 1303.4 (ლარში):

სულ თანადაფინანსება(ლარში):

განმცხადებლის შენიშვნა (საჭიროების შემთხვევაში):

შენიშვნა:

1. ხარჯვის კატეგორიის ჯამური ღირებულება ლარებში დაინაგარიშეთ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაფიქსირებული საშუალო კურსის მიხედვით (www.nbg.gov.ge).

2. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ხარჯვის კატეგორიის ღირებულება ფიქსირდება მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში, მისი გადაყვანა უცხოურ ვალუტაში საჭირო არ არის.

- 6.1. შეავსეთ პროექტის ბიუჯეტის ფორმა მოცემული ხარჯვითი კატეგორიების მიხედვით.
- 6.2. მოთხოვნილი თანხის გასწვრივ მიუთითეთ ვალუტა (მიიტანეთ კურსორი ისართან და ჩამოიშლება სია).
- 6.3. ხარჯვის კატეგორიის ჯამური ღირებულება ლარებში დაანგარიშდება ავტომატურად, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაფიქსირებული საშუალო კურსის მიხედვით (www.nbg.gov.ge).
- 6.4. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ხარჯვის კატეგორიის ღირებულება ფიქსირდება მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში, მისი გადაყვანა უცხოურ ვალუტაში საჭირო არ არის.

შენიშვნა:

1. სადღელამისო და საცხოვრებელი ფართობის დაქირავების/სასტუმროს ხარჯების შედგენისას უნდა იხელმძღვანელოთ “მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ” საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის N#231 ბრძანებულებით.
2. საერთაშორისო მგ შეზღოვების ხარჯვის კატეგორიაში დაფიქსირებული თანხა უნდა წარმოადგენდეს შესაბამისი მიმართულებით არსებული (და პროექტის ბოლო ნაბიჯზე PDF სახით ატვირთული) სულ მცირე ორი სხვადასხვა ავიაკომპანიის ფასებიდან ყველაზე იაფ ვარიანტს. ავიაბილეთების მხოლოდ ერთი ავიაკომპანიის ფასების წარმოდგენის შემთხვევაში გრაფაში „განმცხადებლის შენიშვნა“ მოტანილი უნდა იყოს შესაბამისი ახსნა-განმარტება);

ნაბიჯი 7. ფაილების ატვირთვა

ინდივიდუალური სამოგზაურო კრანტები
ნაბიჯი: 1 2 3 4 5 6 **7**

ასატვირთი ფაილები

ქართული კლავიატურის ჩართვა/გამორთვა

მოწვევა (ორიგინალი და თარჯიმნის/თარჯიმანთა ბიუროს ბეჭდით დამოწმებული თარგმანი - ქართულ ენაზე) - დასკანირებული pdf ფორმატში No file chosen

აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი - დასკანირებული pdf ფორმატში No file chosen

აკიბილიტეტების (ან შესაბამისად, სხვა სატრანსპორტო საშუალებების) ჯაგეშანის ასლი - დასკანირებული pdf ფორმატში No file chosen

სამი (3) პუბლიკაციის გარეკანი, სარჩევი და სტატიის პირველი გვერდი - დასკანირებული (ერთ ფაილად) pdf ფორმატში No file chosen

თანადაფინანსების წერილი, თუ ასეთი წერილი შედგენილია რომელიმე უცხო ენაზე, თარჯიმნის/თარჯიმანთა ბიუროს ბეჭდით დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე, - დასკანირებული pdf ფორმატში No file chosen

ცნობა სამსახურიდან / სასწავლებლიდან - დასკანირებული pdf ფორმატში No file chosen

<< უკან დამახსოვრება და გაკრძელება >>

ყველა საპროექტო დოკუმენტი უნდა აიტვირთოს **PDF ფორმატში**, საბოლოო წარდგენის წინ ელექტრონული სისტემა დააგენერირებს პროექტის ერთიან PDF დოკუმენტს; თქვენ მიერ შევსებული საგრანტო პროექტის დასათვალისწინებლად დააჭირეთ ღილაკს „ნახვა“.

პროექტის საბოლოო წარდგენა

საკონკურსო დოკუმენტაციის ატვირთვის შემდეგ ხდება პროექტის საბოლოო წარდგენა.

პროექტი საბოლოოდ დარეგისტრირდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც რეგისტრაციის ყველა ნაბიჯის გავლისა და საპროექტო წინადადების ატვირთვის შემდეგ თავად დააჭერთ ღილაკს „**საბოლოო წარდგენა**“. ამ ღილაკზე დაჭერამდე და ფონდის მიერ განაცხადების რეგისტრაციის საბოლოო ვადის გასვლამდე შესაძლებელია პროექტის მრავალჯერ რედაქტირება.

აქვე არის განთავსებული ღილაკი „**პროექტის რედაქტირება**“ (ეკრანის მარცხენა მხარეს), რომლის მეშვეობითაც შეგიძლიათ დაათვალიეროთ და შეასწოროთ თქვენი პროექტი.

საბოლოო წარდგენით პროექტი მოცემული სახით დარეგისტრირდება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ელექტრონულ ბაზაში საიდენტიფიკაციო შიფრით და პროექტის მომდევნო რედაქტირებას ვეღარ შეძლებთ.

გთხოვთ, დეტალურად გადახედოთ თქვენს პროექტს და მხოლოდ მას შემდეგ მოახდინოთ პროექტის საბოლოო წარდგენა, როდესაც დარწმუნდებით, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილი ყველა ინფორმაცია საბოლოოა.

პროექტი საბოლოოდ დარეგისტრირდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც თავად დააჭირთ ღილაკს „**საბოლოო წარდგენა**“. ამ ღილაკზე დაჭერამდე და ფონდის მიერ განაცხადების რეგისტრაციის საბოლოო ვადის გასვლამდე შესაძლებელია პროექტის მრავალჯერ რედაქტირება.

რედაქტირებისათვის დააჭირეთ ღილაკს:

პროექტის რედაქტირება

საბოლოო წარდგენით პროექტი მოცემული სახით დარეგისტრირდება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ელექტრონულ ბაზაში საიდენტიფიკაციო მიზრით და პროექტის მომდევნო რედაქტირებას ვეღარ შეძლებთ.

გთხოვთ, დეტალურად გადახედოთ თქვენს პროექტს და მხოლოდ მას შემდეგ მოახდინოთ პროექტის საბოლოო წარდგენა, როდესაც დარწმუნდებით, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილი ყველა ინფორმაცია საბოლოოა.

პროექტის ნახვა

საბოლოო წარდგენა

ყურდებთ! საბოლოო წარდგენის საფეხურის გაუვლელად პროექტი კონკურსში მონაწილეობას ვერ მიიღებს.

საბოლოო წარდგენის ღილაკზე დაჭერის შემდეგ ელფოსტაზე მიიღებთ შესაბამის შეტყობინებას. გთხოვთ, შეინახოთ აღნიშნული შეტყობინება ფონდის ელექტრონულ ბაზაში პროექტის საბოლოო წარდგენის დასტურად.

Copyright © 2010 rustavelli.org.ge All rights reserved.

პროექტი საბოლოო წარდგენას წინ უნდა უსწრებდეს რეგისტრაციის ყველა საჭირო ნაბიჯის გავლა და PDF ფორმატში წარმოდგენილი დოკუმენტების ატვირთვა.

დააჭირეთ ღილაკს „**საბოლოო წარდგენა**“ და შემდგომ დაეთანხმეთ.

საბოლოო წარდგენით პროექტი მოცემული სახით დარეგისტრირდება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ელექტრონულ ბაზაში საიდენტიფიკაციო მიზრით და პროექტის მომდევნო რედაქტირებას ვეღარ შეძლებთ. გთხოვთ, დეტალურად გადახედოთ თქვენს პროექტს და მხოლოდ მას შემდეგ მოახდინოთ პროექტის საბოლოო წარდგენა, როდესაც დარწმუნდებით, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილი ყველა ინფორმაცია საბოლოოა.

ვეთანხმები **არ ვეთანხმები**

კონკურსანტი პასუხისმგებელია ფონდის ვებგვერდზე შევსებული/ატვირთული ინფორმაციის სისწორეზე.

საკონკურსო დოკუმენტაცია რომელიც რუსთაველის ფონდის ვებგვერდზე უკვე შეავსეთ და ატვირთეთ ფონდში ნაბეჭდი სახით აღარ უნდა წარმოადგინოთ.

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი გისურვებთ წარმატებას!